

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01
--------------------------------------	-------

პროგრამის დასახელება:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2021-2024 წლები
--	-----------------

პროგრამის მიზანი:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ადამიანისათვის ფიზიკური აქტივობა აუცილებელია, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე, ის აძლიერებს იმუნიტეტს და აწვითარებს ტვინის უჯრედებს. სპორტი ხელს უწყობს სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებას, სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელი თვისებით, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების, თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით:

- * ჯანდაცვის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ზავზე და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სკოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდებ დაავადებები).
- * დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებლები, რასაც ადასტურებს „სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრის“ მიერ 2013 წლის ზაფხულში ჩატარებული კვლევების მონაცემები. სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდებში სხვადასხვა არაჯანსაღი გასართობი მხარდი პოპულარობა (კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი, კაზინო და სხვა).

აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდთა თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.

პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;
- სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა;
- ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“;
- ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი;
- ბათუმი - სპორტის ქალაქი.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 827 200	187 900	450 400	540 400	648 500
საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	1 400 000	0	400 000	500 000	500 000

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა	216 000	20 000	60 000	61 000	75 000
სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა	17 500 200	3 449 000	4 600 500	4 700 200	4 750 500
ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“	1 315 900	196 600	373 100	373 100	373 100
ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	774 900	144 900	210 000	210 000	210 000
სულ პროგრამა	23 034 200	3 998 400	6 094 000	6 384 700	6 557 100

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ბათუმელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები

დამატებითი ინფორმაცია

--

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
		2020 წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი				
	სამოყვარულო სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა	1650	1700	1800	1850	1900	რაოდენობა		ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
	მუნიციპალურ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულ მოზარდთა რაოდენობა	4600	4650	5300	4800	5000	რაოდენობა		ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
	მუნიციპალურ სპორტულ კლუბებში მოღვაწე ადგილობრივი სპორტსმენების %-ლი წილი	70%	72%	75%	75%	75%	%		ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
	მუნიციპალური კლუბების მიერ ეროვნულ ჩემპიონატებში დაკავებული საპრიზო ადგილების რაოდენობა	3	3	5	7	7	რაოდენობა		ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი

<p>უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ბათუმელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები</p>	<p>პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი სპორტსმენების მიღწევების რაოდენობა საერთაშორისო სპორტულ აქტივობებში</p>	11		14	15	16	რაოდენობა	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>მონიტორინგი</p>
	<p>სპორტის სფეროში მხარდაჭერილი და განხორციელებული საინიციატივო პროექტების რაოდენობა</p>	5		8	10	12	რაოდენობა		<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>მონიტორინგი</p>
	<p>მასობრივი სპორტის აქტივობების მოსარგებლებითვლიან, რომ პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობით, სპორტის მიმართ მათი ინტერესი გაიზარდა, არაჯანსაღი დღის წესრიგი კი ფიზიკური აქტივობებით შეიცვალა (არანაკლებ)</p>		0,7	0,7	0,7	0,7	რაოდენობა		<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>მონიტორინგი</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 01 01

ქვეპროგრამის დასახელება:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	187 900
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	187 900

ქვეპროგრამის მიზანი:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

1. ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი - პროექტი ითვალისწინებს სამი ფეხბურთის სახეობის გაერთიანებას. ეზოს ფეხბურთში მონაწილეობას მიიღებს ბათუმის 10 ადმინისტრაციული ერთეულის გუნდები. ეზოს ფეხბურთის მონაწილეებიდან მოხდება წარმატებული ბავშვების შერჩევა და გადაყვანა ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის სექციებში, ასევე მოხდება ნიჭიერი ბავშვების გადაყვანა პროფესიონალურ კლუბებში. პროექტის ფარგლებში ჩატარდება სხვადასხვა ფესტივალები და გამოვლინდებიან გამარჯვებული გუნდები და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ფეხბურთელები. ასევე გამარჯვებული გუნდები გაემგზავრებიან ექსკურსიაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

3. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სპორტული სექცია - ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს აუტიზმის მქონე 40-მდე ბავშვი. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდება აქტივობები კვირაში ორჯერ, მოზარდებთან იმუშავებს 2 მწვრთნელი, თერაპევტი და ფსიქოლოგი; ჩატარდება საჩვენებელი ფესტივალი. ფესტივალის მონაწილე მოზარდებს გადაეცემა წამახალისებელი საჩუქრები. ღონისძიების მიზანია ბავშვების ინტეგრირება საზოგადოებაში და ჯანსაღი ცხოვრების წესი. მასობრივი სპორტის განვითარება.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი				164 500
<i>შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება</i>	პირი	25	5 580	139 500
<i>სპორტული ეკიპირება და ინვენტარი (საპლაჟო და ფუტსალი)</i>	გუნდი	5	2 000	10 000
<i>სპორტული დარბაზის იჯარა (საპლაჟო და ფუტსალი)</i>	თვე	7	1 429	10 000

ეზოს ფეხბურთის ორგანიზება - საპრიზო ფონდი	ტურნირი	1	5 000	5 000
სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია				23 400
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	4	4 875	19 500
ორგანიზება	დღე	2	375	750
ინვენტარი				550
საპრიზო ფონდი				2 600
სულ ქვეპროგრამა				187 900

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი	X	X	X	X
სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა	ჩატარებული სპორტული აქტივობების რაოდენობა (არანაკლებ)	1000	600	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	ყოველკვარტალურად	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი
	სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა (არანაკლებ)	450	2000	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	ყოველკვარტალურად	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი
	სამოყვარულო გუნდების (ეზოს, საუბნო, სამოყვარულო) რაოდენობა	25	66	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	ყოველკვარტალურად	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი
	მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა (არანაკლებ)	50	100	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	ყოველკვარტალურად	ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 03
---	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	20 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	20 000

ქვეპროგრამის მიზანი:

წარმატებული სპორტსმენების წახალისება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ბათუმში აღზრდილი არაერთი ტიტულოვანი სპორტსმენი გაიცნო ჩვენმა ქვეყანამ. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სპორტსმენთა ღვაწლის დაფასება და მათი სახელის სათანადო წარმოჩენა, რაც თავის მხრივ სტუმულს მისცემს თითოეულ სპორტსმენს, აამაღლებს მათ მოტივაციას და გაზრდის ქალაქში მოღვაწე სპორტსმენთა ცნობადობას. სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაფასებისა და სტიმულირების მიზნით ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიება;

წლის სპორტსმენი - ღონისძიების ფარგლებში, წლის ბოლოს მოეწყობა წარმატებული სპორტსმენების/სპორტული გუნდებისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწეების საზეიმო მიღება და დაჯილდოება სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით. მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენენ - პირები, ვინც განსაკუთრებული ღვაწლი გაწიეს სპორტის პოპულარიზაციისათვის, ასევე, მუნიციპალური სპორტული კლუბები/გუნდები, სპორტსმენები და მწვრთნელები, რომლებმაც მიაღწიეს მაღალ სპორტულ მიღწევებს, წარმატებებს, როგორც ქვეყნის, ასევე, მის ფარგლებს გარეთ და თავიანთი წვლილი შეიტანეს რეგიონის/ქვეყნის აღიარებაში, წარმოჩენაში.

ღონისძიების განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის ნომინანტთა გამოვლენის წესი, ნომინანტთა შეფასების კრიტერიუმები, კონკურსის ჩატარების და გამარჯვებულის დაფინანსების წესი და სხვ.) განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
წლის სპორტსმენი	ღონისძიება	1	20 000	20 000
სულ ქვეპროგრამა				20 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
წლის სპორტსმენი			X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

სტიმულირებულია წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენები/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდები და მათი მწვრთნელები

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სტიმულირებულია წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენები/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდები და მათი მწვრთნელები	წლის ბოლოსათვის დაჯილდოებული წარმატებული სპორტის დამსახურებულ მოღვაწეთა რაოდენობა	10	10	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	ყოველკვარტალურად	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 04
---	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	3 449 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	3 449 000

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მაღალი მიღწევების სპორტის, სამწვრთნელო-საშეჯიბრო საქმიანობის მხარდაჭერა, ბათუმელ სპორტსმენტთა განვითარების ხელშეწყობა, რაც მიმართულია სპორტსმენტთა მიერ სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე.

ქვეპროგრამის მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია:

1. მაღალი მიღწევების სპორტის ხელშეწყობა - ღონისძიების ფარგლებში სპორტსმენტისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტსმენტთა ეკვიპირებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და სპორტული მივლინებების განხორციელება. მათთვის პირობების შექმნა სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარებისათვის. მუნიციპალური კლუბების საერთაშორისო ოფიციალურ ღონისძიებებზე, საწევროების გადახდას, შესაბამის დონეზე მსაჯებისა და მწვრთნელების მომზადებასა და მათი სხვადასხვა სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებსა და კურსებში მონაწილეობას, რაც ხელს უწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე ბათუმის ნაკრები გუნდების წევრთა ოსტატობის ამაღლებას და მათ მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას.

2. ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა - ღონისძიება ითვალისწინებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობას, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენტების მომზადებას.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა				2 742 486

სარაგბო კლუბის „ბათუმი“ განვითარების ხელშეწყობა				1 609 904
სარაგბო სტადიონის პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	31	5 444	168 776
სარაგბო სტადიონის საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				70 000
ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	11	13 738	151 122
ძირითადი გუნდის მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	5	44 760	223 800
ძირითადი გუნდის სპორტსმენების შრომის ანაზღაურება	პირი	38	22 400	851 206
შიგა სატურნირო მივლინებები				50 000
სპორტული ინვენტარი და უნიფორმა				12 000
ოფისის ხარჯი				10 000
სხვა საქონელი და მომსახურება				10 000
საწვავის ხარჯი				3 000
მედიკამენტები, დაზღვევა, სხვა სამედიცინო მომსახურება				60 000
ფრენბურთის კლუბის „ბათუმი“ განვითარების ხელშეწყობა				113 400
ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	2	9 500	19 000
ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება	პირი	17	2 988	50 800
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	5	2 000	10 000
მოთამაშეების შეძენის, ლიცენზიებისა და საწევრო გადასახადები;				2 000
შიგა სატურნირო მივლინებები		25	880	27 000
ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება				300
საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				4 300
საკალათბურთო კლუბის „ბათუმის“ განვითარების ხელშეწყობა				782 642
ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	6	12275	73 650
ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება	პირი	18	33177	597 192
მოწვეული მოთამაშეების მგ ზავრობის თანხა	პირი	4	2713	10 850
მოთამაშეების შეძენის, ლიცენზიებისა და საწევრო გადასახადები;				45 000
სათამაშო და სატრენაჟორო დარბაზის იჯარა (თვე)	თვე	12	646	7 750
შიდა სატურნირო მივლინებები (გასვლა)	გასვლა	18	2056	37 000

სამედიცინო ხარჯი				4 000
ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება				7 200
ხელბურთის კლუბის „ბათუმი“ განვითარების ხელშეწყობა				236 540
ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	3	9533	28 600
ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების ანაზღაურება	პირი	17	9232	156 940
შიდა სატურნირო მივლინებები	გასვლა	14	3143	44 000
მოთამაშეების შეძენის, ლიცენზიებისა და საწევრო გადასახადი				2 000
საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				5 000
ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				706 514
სარაგბო კლუბის „ბათუმი“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				409 796
ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	33	11509	379 796
ბავშვთა ჯგუფების შიდა სატურნირო მივლინებები				30 000
ფრენბურთის კლუბის „ბათუმი“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				8 000
შიდა სატურნირო მივლინებები				8 000
საკალათბურთო კლუბის „ბათუმი 2010“ ბავშვთა და ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				68 358
ბავშვთა ჯგუფის მწვრთნელის შრომის ანაზღაურება	პირი	1	9 726	9 726
ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფის მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	3	15 991	47 974
ბავშვთა და ასაკობრივი ჯგუფების შიდა სატურნირო მივლინებები				8 350
ბავშვთა და ასაკობრივი ჯგუფების სათამაშო და სატრენაჟორო დარბაზის იჯარა				1 500
ბავშვთა და ასაკობრივი ჯგუფების სამედიცინო ხარჯი				808
წყალბურთის კლუბის „ბათუმი“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				135 600
ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	3	10800	32 400
მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	3	12020	36 060
შიდა სატურნირო მივლინებები (გასვლა)	გასვლა	7	2000	14 000
აუზის იჯარა (თვე)	თვე	11	4773	52 500
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება				640

ხელბურთის კლუბის „ბათუმის“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა				84 760
ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	5	6952	34 760
ბავშვთა ჯგუფების შიგა სატურნირო მივლინებები	გასვლა	20	2500	50 000
სულ ქვეპროგრამა				3 449 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა	X	X	X	X
ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარება

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარება	მუნიციპალურ საკლუბო გუნდებში მოღვაწე პროფესიონალი სპორტსმენების რაოდენობა	70	70	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი
	მუნიციპალური საკლუბო გუნდების ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა	1200	1200	რაოდენობა	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 05
---	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	181 600
სხვა წყარო	15 000
სულ ქვეპროგრამა	196 600

ქვეპროგრამის მიზანი:

ჭადრაკის, როგორც ინტელექტუალური სპორტის სახეობის განვითარება, პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა, პროფესიული დონის, მიღწევების და შედეგიანობის ამაღლება.

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

მდიდარი ისტორიის მქონე ჭადრაკი საზოგადოების კულტურის დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია. დღეისათვის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჭადრაკი განიხილება, როგორც ახალგაზრდა თაობის აღზრდის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. რამეთუ ჭადრაკი ავითარებს ლოგიკურ აზროვნებას, ანალიზის, რთულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების უნარს და სხვისი აზრის პატივისცემას, ჭადრაკი ფლობს შემოქმედებითი აქტივობის განვითარების მდიდარ შესაძლებლობებსაც. ცნობილი ამერიკელი განმანათლებელი, პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი ბენჯამინ ფრაკლინი თავის ცნობილ ნაშრომში „ჭადრაკის ზნეობრივი ფასეულობანი“ წერს რომ ჭადრაკის თამაშით შეგვიძლია ვასწავლოთ შორსმჭკრეტელობა, წინდახედულება, სიფრთხილე, სიმხნევე და ბევრი სხვა თვისება. გამოჩენილი პედაგოგის, ვასილი სუხომილინსკის აზრით, ჭადრაკი არის თანმიმდევრული, ლოგიკური აზროვნების შესანიშნავი სკოლა. მთელი რიგი გამოკვლევების შედეგებით ირკვევა, რომ ჭადრაკით დაინტერესებულ მოზარდთა შორის მინიმუმამდეა დაყვანილი ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება. კლუბი ნონაც თავის მხრივ ჯანსაღი ცხოვრების სტილის აგიტატორია და დაფუძნებიდან (2013 წ. 30 აპრილი) დღემდე აღმზრდელი საქმიანობას ეწევა. შედეგებიც სახეზეა: დღეს კლუბი ნონა ოთხჯონის ევროპის და 4 ჯონის საქართველოს საკლუბო ჩემპიონია, ორჯონის ევროპის საკლუბო ვიცე ჩემპიონი, კლუბს მიღწევებისთვის სამუდამოდ გადაეცა ევროპის გარდამავალი თასი, პარიზში დაჯილდოვდა "ოქროს ვარსკვლავით" ეფექტური მენეჯმენტისთვის, მოპოვებული აქვს ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული მრავალი ჯილდო სხვადასხვა ნომინაციებში. გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გაცვლითი პროექტების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საერთაშორისო საჭადრაკო სკოლებთან და კლუბებთან. ხუთი წელია ორგანიზატორია საერთაშორისო ნორმის საჭადრაკო ფესტივალის "ბათუმის მერიის თასი", რომლის ფარგლებში 11 დამოუკიდებელი ტურნირი იმართება და ყოველ წელს ბათუმი მინიმუმ 20 ქვეყნის 1500-ზე მეტ სტუმარს მასპინძლობს. კლუბს გააჩნია ოფიციალური ვებ გვერდი რომელიც საერთაშორისო არენაზე პოპულარობით სარგებლობს. 7 წელია კლუბში ფუნქციონირებს 4 ჯგუფი, ჯამში სტაბილურად 250 ბავშვი, რომელიც უსასყიდლოდ ეუფლება საჭადრაკო სიბრძნეს. პერიოდულად ტარდება შიდა ტურნირები, თემატური მასტერ კლასები და ერთდროული თამაშის სეანსები. ტრადიციული რაპიდ ტურნირი ვეტერან მოჭადრაკეთათვის "გურამ ჭანტურას თასი" და საახალწლო ფესტივალი სხვადასხვა ასაკის და დონის ბავშვებისთვის. წარმატებული კლუბის წევრები მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო ტურნირებში.

მდიოსტატებს დანიშნული აქვთ ყოველთვიური სტიპენდიები და ინდივიდუალურ მომზადებას გადიან მათთვის სასურველ მწვრთნელებთან. 2021 წლისთვის კლუბი გააგრძელებს ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების განხორციელებას, ყოველმხრივ შეეცდება მასშტაბების გაზრდას, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის განვითარებას და პოპულარაზაციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და ცნობადობის ამაღლებას, სასკოლო აქტივობის გაძლიერებას და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მართვა და ადმინისტრირება				177 800
ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	6	9 600	57 600
ძირითადი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	7	5 357	37 500
მოწვეული კლუბის წევრების შრომის ანაზღაურება	პირი	10	2 177	21 770
მოწვეული სპეციალური მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	11	2 166	23 830
ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების შრომის ანაზღაურება	პირი	7	3 157	22 100
საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				15 000
ტურნირების ორგანიზება და მონაწილეობა				18 800
საქმიანი მივლინება				300
შიგა სატურნირო მივლინებები (საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები/საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი)		2		6 500
ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება	ტურნირი	10	1 200	12 000
სულ ქვეპროგრამა				196 600

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მართვა და ადმინისტრირება	X	X	X	X
ტურნირების ორგანიზება და მონაწილეობა	X	X	X	X

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

ხელშეწყობილია ა(ა)იპ საქადრავო კლუბი „ნონას“ განვითარება და უზრუნველყოფილია კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებში;

დამატებითი ინფორმაცია

რაოდენობა და ერთეულის საშუალო ფასი საორიენტაციოა და დამოკიდებულია სატურნირო დებულებებში მოცემულ ფორმატზე. წინა სატურნირო ვითარებაზე, დასახული მიზნისთვის შესაფერისი ტურნირის აღმოჩენაზე, აგრეთვე მიღებულ მოწვევებზე და სხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო კლუბებთან ერთობლივად დაგეგმილ გაცვლითი პროგრამების სიხშირესა და მნიშვნელობაზე.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონას“ განვითარება და უზრუნველყოფილია კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებში;	კლუბის მიერ ორგანიზებული სპორტული ღონიძიებების რაოდენობა	10	10	რაოდენობა	ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"	კვარტალში ერთხელ	კლუბის მენეჯერი	მონიტორინგი
	კლუბის ბაზაზე ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა	250	250	რაოდენობა	ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"	კვარტალში ერთხელ	კლუბის მენეჯერი	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 01 06

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	134 900
სხვა წყარო	10 000
სულ ქვეპროგრამა	144 900

ქვეპროგრამის მიზანი:

ბათუმის საცხენოსნო კლუბის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ცხენოსნობის ტრადიციები საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია, თუმცა, მეცხენეობა და საცხენოსნო სპორტი, დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყანაში პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებს. სფეროს აღორძინებასა და განვითარებას შესაბამისი ფინანსური რესურსი სჭირდება. სპორტის ეს სახეობა საკმაოდ მოცულობით ფინანსურ ინვესტიციას საჭიროებს, თუმცა მისი განვითარების შემთხვევაში, საცხენოსნო სპორტის და ტურიზმის სფეროდან მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღებაა შესაძლებელი.

2021 წლისათვის ბათუმის საცხენოსნო კლუბი გეგმავს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

1. ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობა;
2. კავკასიის ლიგის თასის გათმაშებაში მონაწილეობის მიღება;

კლუბის მიზანია ზემოთ აღნიშნულ შეჯიბრებებში საპრიზო ადგილების დაკავება; მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და მათთვის მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შემუშავება და ჩატარება; სპორტის პოპულარული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნება და მათი პოპულარიზაციისათვის ადგილობრივი ტურნირების ჩატარება; საცხენოსნო სპორტული სახეობების პოპულარიზაცია და ქალაქის გადაქცევა სპორტული ტურიზმის ქალაქად; ცხენოსნობის განვითარება აჭარაში, შეჯიბრებებში მზარდი შედეგების მიღება.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ადმინისტრაციის ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	პირი	5	10 980	54 900
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	პირი	3	10 250	30 750
სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა (მივლინება)				7 000
კვების ხარჯი	ცხენი	15		36 000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, სხვა ხარჯები				16 250

სულ ქვეპროგრამა				144 900
-----------------	--	--	--	---------

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ადმინისტრაციის ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება	x	x	x	x
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	x	x	x	x
სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა (მივლინება)	x	x	x	x
კვების ხარჯი	x	x	x	x
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, სხვა ხარჯები	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

ხელშეწყობილია საცხენოსნო კლუბის განვითარება და უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებში

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია საცხენოსნო კლუბის განვითარება და უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებში	კლუბის ბაზაზე არსებული ცხენების რაოდენობა	14	15	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	მონიტორინგი
	ადგილობრივი ტურნირების რაოდენობა, რომელშიც კლუბმა მიიღო მონაწილეობა	10	10	რაოდენობა	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	მონიტორინგი